



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 13

„27“ თებერვალი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირობით, თხოვების ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2 წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტში მდებარე 22,739 კმ. გაზსადენი მილის ქსელი, ღირებულებით 591217,64 ლარი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature

პაატა გიორგობიანი